

ანოტაცია

ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი Oxytetracycline hydrochloride

წყალში ხსნადი ფხვნილი,
გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების, თხების, გოჭების, ქათმებისთვის

შემადგენლობა

1 გ ფხვნილი შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს 1000მგ

აღწერა: ყვითალო ფერის, უსუნო, წყალში ხსნადი ფხვნილი

ფარმაკოლოგიური მოქმედება

ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი არის ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკი, ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების (Staphylococcus spp., Streptococcus spp., Pasteurella spp., Escherichia coli, Salmonella spp.), ასევე ზოგიერთი სახეობის მიკოპლაზმების, ქლამიდეებისა და სპიროქეტების მიმართ.

არ არის აქტიური პროტეუსის, ლურჯი დაჩირქების ჩხირის, მრავალი სოკოებისა და ვირუსების მიმართ. რეკომენდებულ დოზებში პრეპარატი ნაკლებად ტოქსიკურია თბილისხლიანი ცხოველებისთვის, არ ავლენს ადგილობრივ გამაღიზიანებელ და მასენსიბილიზირებელ მოქმედებას.

ფარმაკოკინეტიკა: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი ორალური მიღებისას კარგად შეიწოვება კუჭნაწლავიდან და სწრაფად აღწევს ყველა ორგანოსა და ქსოვილში. თერაპიული კონცენტრაცია, მისი ერთჯერადი მიღების შემდეგ ორგანიზმში შენარჩუნებულია 12 სთ-ის განმავლობაში. ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდთან და ფეკალთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების, თხების, გოჭების, ქათმების რესპირატორული და კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ასევე შარდ-სასქესო გზების ინფექციების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, როგორცაა: პნევმონია, პლევრიტი, დიზენტერია, პასტერელოზი, ენტერიტები, ინფექციური ჭრილობები, მეორადი ინფექციები ვირუსული დაავადებების დროს.

გვერდითი მოვლენები

შესაძლებელია ალერგიული რეაქციები.

უკუჩვენებები

ოქსიტეტრაციკლინის მიმართ ცხოველთა ინდივიდუალური გაზრდილი მგრძობელობა, თირკმელების უკმარისობა, მაკეობის მეორე ნახევარი. ქათმებს შეზღუდვა აქვს კვერცხისდების პერიოდში.

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა, გოჭი, ქათამი

დოზირება სამიზნე სახეობებისთვის, გამოყენების მეთოდი:

გამოყენებამდე პრეპარატი უნდა გაიხსნას წყალში ან შეერიოს საკვებში

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა: ფარმაკოლოგიური დოზა 10-20 მგ/ კგ. ც.წ-ზე.

პრაქტიკული დოზა 1-2 გ /100კგ. ც.წ-ზე;

გოჭი: ფარმაკოლოგიური დოზა 15-30 მგ/ კგ.ც.წ-ზე, პრაქტიკული დოზა 1,5-3 გ/100 კგ. ც.წ-ზე

ქათამი: ფარმაკოლოგიური დოზა 20-50 მგ/კგ.ც.წ-ზე, პრაქტიკული დოზა 0,5გ - 2,5 ლ წყალზე პრეპარატი მიიღება 12 სთ-ში ერთხელ, 3-6 დღის განმავლობაში.

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას:

პრეპარატის პირველი გამოყენებისას ან შეწყვეტისას არ გამოვლენილა რაიმე კონკრეტული ეფექტი.

თავიდან უნდა აიცილოთ პრეპარატის შემდეგი დოზის გამოტოვება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მისი თერაპიული ეფექტურობის დაქვეითება. ერთი დოზის გამოტოვების შემთხვევაში, პრეპარატის გამოყენება განახლდება იმავე დოზით და იმავე რეჟიმით.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები ცხოველებში გამოყენებისას: ალერგიული რეაქციის ან ანაფილაქსური შოკის გამოვლინებისას მიიღება ადრენალინი, გლიკოკორტიკოიდები და ანტიჰისტამინური პრეპარატები.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა იქნას მიღებული პირის მიერ, რომელიც ატარებს მანიპულაციებს ვეტერინარული პრეპარატით სამიზნე სახეობებზე:

პრეპარატთან მუშაობისას დაიცავით პირადი ჰიგიენის და ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკით გათვალისწინებული წესები. მოარიდეთ კანთან ან თვალებთან კონტაქტს. პრეპარატის გამოყენებისას ყოველთვის ატარეთ ერთჯერადი გამოყენების ხელთათმანები. დაიბანეთ ხელები პროდუქტის გამოყენების შემდეგ. შემთხვევითი დაღვრის დროს კანი ან თვალები დაუყოვნებლივ უნდა დაიბანოთ საპნით და წყლით.

ურთიერთქმედება: არ არის რეკომენდებული მარილების შემცველ პრეპარატებთან, ამინოგლიკოზიდებთან, პენიცილინებთან, ცეფალოსპორინებთან, ლევომიცეტინთან, ერთრომიცინთან, სულფანილამიდებთან ერთად გამოყენება.

ლოდინის პერიოდი

ცხოველების და ქათმების სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 10 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბეწვიანი ნადირის საკვებად თერმული დამუშავების შემდეგ ან ხორცისა და ძვლის ფქვილის საწარმოებლად.

აკრძალულია რძის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში და პრეპარატის ბოლო შეყვანიდან 2 დღის განმავლობაში. ასეთი რძე თერმული დამუშავების შემდეგ ცხოველების საკვებად გამოიყენება.

აკრძალულია კვერცხის გამოყენება, რომელიც გამიზნულია ადამიანების მოხმარებისთვის

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 15-30°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 4 წელი

შეფუთვა: 1g მოთავსებული ვერცხლიცფერ სამშრიან (პოლიპროპილენი, ალუმინის ფირფიტა, პოლიეთილენი) პაკეტი, 50g და 250 g ვერცხლიცფერ სამშრიან (პოლიეთილენტერეფტალატი, ალუმინის ფირფიტა, პოლიეთილენი) პაკეტი, 0.5 g პერორალური ფხვნილი მუქი ფერის მინის ფლაკონში ჰერმეტიკულად დახურული რეზინის საცობით, ალუმინის ჩაჩითა და პლასტმასის სახურავით პირველი გახსნის კონტროლისთვის

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი. **ATCvet code:** QJ01AA06

შეინახეთ ზავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მხოლოდ ცხოველების სამკურნალოდ.

გაიცემა ვეტერინარის დანიშნულებით.

მწარმოებელი ქვეყანა: შპს “ბიოტეკსი”, იუმაშევის ქ.#8, თბილისი. საქართველო